თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2800016

ნომერი: AR1434041

თარიღი : 22.08.2016

გაცემის თარიღი : 26.08.2016

გაცნობის თარიღი : 26.08.2016

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N14 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- გიორგი შენგელია პ/ნ 01024005613
- საბურთალოს ქ.35 ბ.18

ორგანიზაცია:
- შპს,,თენ" კოდი: 404891168

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ღანდშაფტური მშენებლობა
  ახალი მშენებლობა

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) თქვენი მოთხოვნა დარეგისტრირებულია არასწორი

განაცხადის ველში.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და ვინაიდან საკითხი ეხება საავტომობილო გზის მოწყობას, აღნიშნული არ განეკუთვნება I კლასის შენობა–ნაგებობის მახასიათებელს, გამომდინარე აქედან "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 37-ე მუხლის თანახმად, მშენებლობის ნებართვა გაიცემა სამ სტადიად (გარდა განსაზღვრული გამონაკლისებისა). ამათგან თითოეულზე მიმდინარეობს დამოუკიდებელი წარმოება. მხოლოდ წინა სტადიით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების დასრულებისა და დადებითი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შემდეგ შეუძლია ნებართვის მაძიებელს მოითხოვოს შემდეგი სტადიის ადმინისტრაციული წარმოების დაწყება.

თქვენს შემთხვევაში ვინაიდან არსებულ ტერიტორიაზე დადგენილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების პირობებით განაშენიანების რეგულირების გეგმა, საკითხი უნდა დააყენოთ II (არქიტექტურული პროექტის შეთანხმება) და III (მშენებლობის ნებართვის გაცემა) სტადიებზე. შესაბამისად უნდა აირჩიოთ შემდეგი ნომენკლატურა: სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ობიექტები -> საავტომობილო გზა -> III კატეგორია - ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზა და მოცემულ ველებში ატვირთოთ შესაბამისი დოკუმენტაცია.
აქვე გაითვალისწინეთ, ვინაიდან აღნიშნულ ტერიტორიაზე დადგენილია მიწის ნაკვეთის სამშენებლო პირობებით განაშენიანების რეგულირების გეგმა, პროექტის შეთანხმების სტადიაზე უნდა იხელმძღვანელოთ განაშენიანების რეგულირების გეგმის მიხედვით.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.